დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2019 წლის 02 დეკემბრის N 02-09/164 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს კონკურს მუსიკალური ბიბლიოთეკის (კატალოგის) სინქრონიზაციის/არანჟირების ლიცენზიის შესყიდვაზე

მუსიკალური ბიბლიოთეკა (კატალგი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. მუსიკალური ბიბლიოთეკა(კატალოგი) უნდა იყოს ერთიან პლათფორმაზე (ვებ.გვერდზე) ატვირთული ჟანრობრივად და სხვადასხვა კრიტერიუმით დალაგებული მუსიკალური ნაწარმოებები/ფონოგრამები.
2. შემსყიდველს მუსიკალურ ბიბლიოთეკაზე წვდომა უნდა შეეძლოს ვებ.გვერდზე ავტორიზაციის მეშვეობით.
3. შემსყიდველს ენიჭება პლათფორმაზე ატვირთული მუსიკალური ნაწარმოებების/ფონოგრამების შეუზღუდავის სინქრონიზაციის/არანჟირების უფლება 1(ერთი) წლის ვადით.
4. შემსყიდველის მიერ მუსიკალურ ბიბლიოთეკაში შემავალი მუსიკალური ნაწარმოებების/ფოგორამების სინქრონიზაციას/არანჟირებას არ უნდა სჭირდებოდეს წინასწარი ან/და რაიმე სახის შეთანხმება.
5. მუსიკალურ ბიბლიოთეკაზე (პლათფორმაზე (ვებ.გვერდზე) ატვირთულ მუსიკალურ ნაწარმოებებზე/ფონოგრამებზე) საავტორო და მომიჯნავე უფლებებს სრულად უნდა ფლობდეს განმცხადებელი. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს არანაკლებ (შესაძლებელია უკეთესი) წინამდებარე საკონკურსო პირობებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი შემოთავაზება.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში იმავე ან მსგავსი ლიცენზი(ებ)ს გაცემის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარება და ანგარიშფაქტურა ან/და ლიცენზიის მიმღების მიერ გაცემული დოკუმენტი (ცნობა, წერილი), რომლითაც დასტურდება ლიცენზიის გამცემის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, ლიცენზიის სახე).
- შემოთავაზებულ მუსიკალურ ბიბლიოთეკაზე ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილები/საავტორო და მომიჯნავე უფლებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ჯაჭვური ხელშეკრულებები).
- მუსიკალური ბიბლიოთეკის (კატალოგის) ვებ.გვერდის დასახელება/დაშვება სადაც საკონკურსო კომისიას შეეეძლება ათვრთული მუსიკალური ნაწარმოებების/ფონოგრამების დათვალიერება/მოსმენა.

კონკურსი მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ლიცენზიის ღირებულება:
მუსიკალური ბიბლიოთეკის (კატალოგის) ლიცენზიის შესყიდვის ღირებულებაა - 10000 (ათი ათასი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით.

განცხადების წარმოდგენის ვადები:
განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2019 წლის 02 დეკემბერი .
განცხადების მიღება დასრულების თარიღი: 2019 წლის 16 დეკემბერი (დღის 24:00 საათი)

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გმაოვლენა

ე) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:
1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე info@ajaratv.ge გაგზავნის გზით. ელექტრონული ფოსტით განცხადების გამოგზავნის შემთხვევაში, სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს „კონკურსი“.
3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.